

თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

2016 წლის ანგარიში ჩატარებული კვლევების შესახებ

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა შემდეგი სამუშაოები და კვლევები:

უნივერსიტეტში კონკურსის წესით არჩეული იქნა აკადემიური პერსონალი, შემუშავდა 7 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო, ფარმაციის საბაკალავრო, სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამები) და აკრედიტაცია გაიარა ხუთმა (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო, სამართლის სამაგისტრო და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამები) უმაღლესმა საგანმანათლებლო პროგრამამ. პროგრამის შემუშავების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა კვლევა პოტენციურ დამსაქმებლებთან პროგრამების შემუშავების მიზნით

ბიზნესის ადმინისტრირების(საბაკალავრო, სამაგისტრო) პროგრამის მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ დამსაქმებლებს აქვთ სურვილი უცხო ენა ინგლისური/ გერმანული ისწავლებოდეს საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით 4 სემესტრის განმავლობაში, ხოლო არჩევითის სახით კიდევ ერთ-დამატებით სემესტრად, გარდა ამისა იგი დარგობრივი უცხო ენის ერთსემესტრიანი სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს სამაგისტრო პროგრამაში. მათ მონაწილეობა მიიღეს მენეჯმენტის ბლოკის სასწავლო კურსების შემუშავებაში, რადგან თვლიდნენ რომ ეს სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ დარგისათვის. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ყურადღებით მიიღო ეს რჩევები და ჩართო მათი შეთავაზებები სასწავლო პროგრამაში. მათივე რჩევით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო პროგრამებში 10 კრედიტიანი კომპონენტი დაერთო სასწავლო პრაქტიკის გასავლელად სხვადასხვა ბიზნეს კომპანიაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით, შემდგომში დასაქმების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ პოტენციური დამსაქმებლები იწონებენ პროგრამის შინაარსს, არქიტექტონიკას, სასწავლო ბაზებს პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად კლინიკურ სასწავლო კურსებში. ისინი თვლიან, რომ პროგრამა უზრუნველყოფს საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას და სასურველი შედეგის

მიღწევას. კმაყოფილებით აღნიშნეს უცხო ენის სწავლების მაღალი ხვედრითი წილი პროგრამაში, რათა კურსდამთავრებულს ჰქონდეს უფრო კარგი ცოდნა სამედიცინო ინგლისურ ენაში მომავალში საერთაშორისო სარბიელზე წარმატებული კომუნიკაციისა და კვლევების წარმართვისათვის.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ პოტენციური დამსაქმებლები იწონებენ პროგრამის შინაარსს, არქიტექტონიკას, მოსწონთ, რომ ინგლისურ ენასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება ეძლევა მეორე უცხო ენის - გერმანული ენის საფუძვლიანად შესწავლას, რაც მისცემს კურსდამთავრებულს საშუალებას, უფრო წარმატებით დასაქმდეს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიაში.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ პროფესურა დადებითად აფასებს იმ აქტივობებს, რაც საანგარიშო პერიოდში ჩაატარა უნივერსიტეტმა. უნივერსიტეტში სტუმრად იმყოფებოდნენ და ლექციები ჩაატარეს: ავსტრიის კავკასიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ადამ ლამბერდმა და ამერიკის ხაზინის დეპარტამენტის მრჩველმა საგადასახადო საკითხებში ჩარლზ სტრომემ.

დაგეგმილი ღონისძიებები და განსახორციელებელი აქტივობები:

- გაგრძელდეს საერთაშორისო თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან
- გაფორმდეს ახალი ხელშეკრულებები
- გაღრმავდეს სამეცნიერო-კვლევითი ურთიერთობები აღნიშნულ უნივერსიტეტებთან.
- **სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში. კვლევამ აჩვენა, რომ ორივე მხარე დაწესებულების ძლიერ მხარედ, კვლევის მიხედვით, მიიჩნევს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და პროფესურას, რომელიც აკმაყოფილებს სასწავლო უნივერსიტეტის სტანდარტებს. ორივე მხარე თვლის, რომ მოქმედი პროგრამები არის თანამედროვე და მოთხოვნადი, სასწავლო პროცესი და ზოგადად გარემო სტუდენტზე ორიენტირებული. ადმინისტრაცია ყურადღებით ეკიდება სტუდენტებისა და პერსონალის მიერ დაყენებულ საკითხებს, სახავს ადექვატურ ღონისძიებებს მათ გადასაჭრელად.

- **ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების კმაყოფილების შესახებ**

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა რომ ბიბლიოთეკაში არსებული ინფრასტრუქტურა ადექვატურია, სასწავლო - სამუშაო გარემო მოთხოვნებთან შესაბამისი, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ინტერნეტითა და კომპიუტერებით, საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის პროცედურებზე და მარეგულირებელ აქტებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია, ბიბლიოთეკაში არის თანამედროვე ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, ახალი სახელმძღვანელოები, საჭირო მასალები, რომლის შექმნას დროულად უზრუნველყოფს ადმინისტრაცია; ბიბლიოთეკის პერსონალი კეთილგანწყობილია და ეხმარება სტუდენტებს.

- **კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით**

ამ ეტაპზე უნივერსიტეტს ახალი კურსდამთავრებული არ ჰყავს.

- **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები**

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, რომელიც მოიცავდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტების დასწრებას ლექციებსა და ჯგუფში მუშაობის საათებზე, შუალედურ, დასკვნით, დამატებით გამოცდებზე. აღნიშნულმა კვლევებმა და მათმა ანალიზმა გამოავლინა შემდეგი შედეგები:

- **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა:**

სასწავლო კურსებზე სტუდენტთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი არის საშუალო. სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ლექციების ხარისხის გამო, სტუდენტები თვლიან რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა დამლევადია მათთვის.

- **ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა:**

სასწავლო კურსებზე სტუდენტთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი იყო კარგი, სტუდენტებს მოსწონთ აკადემიური გარემო და პროფესურა; კმაყოფილებას გამოთქვამენ ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის გამო, სტუდენტები თვლიან რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა დამლევადია მათთვის.

- **პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული კვლევების ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა ანალიზი. რესპოდენტებმა გამოთქვეს სურვილი გამრავალფეროვნდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი ტურიზმის მიმართულებებით, აგრეთვე საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში ჩართულ იქნას უფრო მეტი სასწავლო კურსი.

რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, მათ სხვა უნივერსიტეტების გამოცდილებიდან გამომდინარე, აქვთ სურვილი, გადავიდეს სასწავლო პროცესი 2 შუალედური გამოცდიდან ერთ შუალედურ გამოცდაზე.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა:

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა შედეგების ანალიზი. სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი გამრავალფეროვნდეს არჩევითი სასწავლო კურსები, აგრეთვე უფრო მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო კურსი (მაგ. ფსიქოლოგია, სოციოლოგია) ჩაერთოს პროგრამაში. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, მათ სხვა უნივერსიტეტების გამოცდილებიდან გამომდინარე, აქვთ სურვილი, გადავიდეს სასწავლო პროცესი 2 შუალედური გამოცდიდან ერთ შუალედურ გამოცდაზე.

- სასწავლო კურსების შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევები

საანაგრიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა კვლევები, რომელშიც ერთობლივი აკადემიური ურთიერთობების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო კურსების შეფასების მიზნით მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესურამ და ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ ანონიმური კვლევების ფარგლებში შეავსებული კითხვარების ანალიზით დადგინდა შემდეგი შედეგები:

	სასწავლო კურსი	ლექციების ინფორმაციული ბა	მეც. ხარისხი	ლექტორის კონტაქტი აუდიტორიასთან	პროფესორის კონსულტაცია მასალის დასწავლისას	შეფასების კრიტერიუმების სისწორე	სტუდენტის ობიექტურად შეფასება	ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა	გამოყოფილი საათების საკმარისობა	ლექტორის კომუნიკაბელურობა
1	ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	4	4	5	5	5	4	5	5
2	აკადემიური წერა	5	5	4	5	5	5	4	5	5
3	საქართველოს	5	5	4	5	5	5	4	5	5

	ისტორია									
4	უცხო ენა ინგლისური 1	5	5	5	5	4	5	5	5	5
5	უცხო ენა ინგლისური 2	5	5	5	5	4	5	5	5	5
6	ფინანსების საფუძვლები	4	5	5	5	5	4	3	5	5
7	კალკულუსი 1	5	4	5	5	5	5	5	5	5
8	კალკულუსი 2	5	4	5	5	5	5	5	5	5
9	საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	5	5	5	5	5	5	5	5	5
10	მიკროეკონომიკის საფუძვლები	5	5	5	4	5	5	4	5	5
11	მაკროეკონომიკის საფუძვლები	4	4	5	3	5	5	3	5	5
12	ბიზნესის საფუძვლები	5	5	5	5	5	5	3	5	4
13	ბულტერიის საფუძვლები	4	5	5	4	5	4	5	5	5

სასწავლო კურსების კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები კმაყოფილნი არიან სასწავლო კურსების წამყვანი პროფესორის ლექციებით, ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ ლექტორებს, თვლიან რომ პრაქტიკული მეცადინეობის ხარისხი კარგია, კომუნიკაცია ლექტორებსა და სტუდენტებს შორის მჭიდროა და კონსტრუქციული. სასწავლო კურსებზე გამოყოფილი საკონტაქტო საათები საკმარისია; სტუდენტები ღებულობენ ამომწურავ ინფორმაციებს წამოჭრილ საკითხებზე; მათ ცოდნა ფასდება ობიექტურად, შეფასების კრიტერიუმები ადექვატურია; რას შეეხება სასწავლო კურსების სავალდებულო და არჩევით ლიტერატურას, სტუდენტები თვლიან რომ მათი რაოდენობა საკმარისია.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ ანონიმური კვლევების ფარგლებში შევსებული კითხვარების ანალიზით დადგინდა შემდეგი შედეგები:

სასწავლო კურსი	ლექციების ინფორმაციული ზ.	მეც. პრეტ. ხარისხი	ლექტორის კონტაქტი აუდიოფორმასთან	პროფესორის კონსულტაცია მასალის დასწავლისას	შეფასების კრიტერიუმების	სტუდენტის ობიექტურად შეფასება	პირთადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა	გამყოფილი საათების საკმარისობა	ლექტორის კომუნიკაციური უნარი
----------------	---------------------------	--------------------	----------------------------------	--	-------------------------	-------------------------------	-------------------------------------	--------------------------------	------------------------------

1	მეტყველების კულტურა	5	5	5	5	4	5	4	5	5
2	ინგლისური ენა 1	5	4,5	5	5	5	5	5	5	5
3	შესავალი ბრიტანეთმცოდნეობაში	4	3	4	5	5	3	4	5	5
4	გერმანული ენა 1	5	5	5	5	5	5	5	5	5
5	გერმანული ენა 2	5	5	5	5	5	5	5	5	5
6	ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	5	4,5	5	4,5	5	5	5	5	5
7	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1	5	5	5	5	5	5	4	5	5
8	ცივილიზაციის ისტორია	5	5	4	5	5	5	4	5	5
9	ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი	5	5	5	5	5	5	4	5	5

სასწავლო კურსების კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები კმაყოფილნი არიან სასწავლო კურსების წამყვანი პროფესორის ლექციებით, ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ ლექტორებს, თვლიან რომ პრაქტიკული მეცადინეობის ხარისხი კარგია, კომუნიკაცია ლექტორებსა და სტუდენტებს შორის მჭიდროა და კონსტრუქციული. სასწავლო კურსებზე გამოყოფილი საკონტაქტო საათები საკმარისია; სტუდენტები დებულობენ ამომწურავ ინფორმაციებს წამოჭრილ საკითხებზე; მათ ცოდნა ფასდება ობიექტურად, შეფასების კრიტერიუმები ადექვატურია; რას შეეხება სასწავლო კურსების სავალდებულო და არჩევით ლიტერატურას, სტუდენტებს აქვთ სურვილი ბიბლიოთეკაში იყოს უცხოური ლიტერატურის უფრო დიდი არჩევანი.

ზემოთაღნიშნული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი, რომელსაც უძღვებოდა უნივერსიტეტის არჩეული და მოწვეული აკადემიური პერსონალი საანგარიშო პერიოდში ჩავთვალოთ დამაკმაყოფილებლად.

დასახული ღონისძიებები

გამრავალფეროვნდეს კითხვარები უფროა ღრმა კვლევების განსახორციელებლად, შემოვიდეს შეფასების მაჩვენებლებში უფრო მეტი რიცხვი, რომ მოხდეს რაოდენობრივი დამუშავება უფრო მაღლი ხარისხით, რაც შემდგომ შესაფასებელი მასალის თვისობრივი შეფასების უფრო მეტ საშუალებას მოგვცემს.